აკობიანი საქართველოს წინააღმდეგ

HAKOBYAN V GEORGIA

საჩივარი N **64300/16**

გადაწყვეტილება

23 მარტი 2023

ფაქტები

1. წინამდებარე საჩივარი ეხება ხელისუფლების სავარაუდო წარუმატებლობას ჩაეტარებინათ ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიება, მომჩივნის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევით.
2. 2015 წლის 26 ივლისს მომჩივნის შვილის ს-ს ცხედარი სოფელში აღმოაჩინეს. მკვლელობის საფუძლით დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო იმავე დღეს და ჩატარდა არაერთი საგამოძიებო ღონისძიება. პირები, რომლებმაც შენიშნეს ს-ს კუთვნილი ავტომობილი დანაშაულის ადგილის მახლობლად, და მოწმე რომელმაც დაინახა თუ როგორ გაიქცნენ გარკვეული პირები, გამოძიების ფარგლებში დაიკითხნენ. ექსპერტიზის ჩასატარებლად შეგროვდა ბიოლოგიური და სხვა მასალა.
3. 2015 წლის 30 ივლისს სამ პირს ბრალი წაუყენეს ს-ს მკვლელობის მომზადებისა და ჩადენის შეუტყობინებლობისათვის, ვინმე ვ.ჰ-ს მიერ, რომელიც საქმის მასალების მიხედვით, საქართველოში ს-ს მკვლელობისთვის ჩამოვიდა რის შემდეგაც დაუყონებლივ დატოვა იგი და დასახლდა რუსეთში. ამ სამი პირის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობის თაობაზე ცალ-ცალკე ჩატარდა მომჩივნის შვილის სავარაუდო მკვლელობასთან დაკავშირებით.
4. სავარაუდო მკვლელობის გამოძიების ფარგლებში 2015 და 2016 წლებში ჩატარდა არაერთი ექსპერტიზა და გამოკვლევა. დაიკითხა რამდენიმე მოწმე.
5. 2016 წლის 5 იანვარს პროკურორმა მომჩივანს მიანიჭა დაზარალებულის პროცედურული სტატუსი გამოძიების ფარგლებში. მას განემარტა შესაბამისი საპროცესო უფლებები.
6. 2016 წლის 9 მარტს პროკურორმა, რომელიც ზედამხედველობდა რეგიონული პროკურატურის საქმიანობას, განიხილა მომჩივნის განცხადება აღნიშნული სისხლის სამართლის გამოძიების სავარაუდო არაეფექტურობასთან დაკავშირებით და დაავალა რეგიონულ ხელისუფლებას, კიდევ ერთხელ დაეკითხათ მომჩივანი და მსხვერპლის ცოლი - ა.ბ. აღინიშნა, რომ გამოძიებას

უნდა დაედგინა დაზარალებულის მანქანიდან ამოღებული ქალის ჩანთის მფლობელის ვინაობა და საქმესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ა.ბ., რომელიც იმ დროს სომხეთში ცხოვრობდა, 2017 წელს არაერთხელ ესტუმრა საქართველოს, თუმცა, პროკურორის არაერთი სატელეფონო მოთხოვნისა, იგი არ გამოცხადდა ხელისუფლების დაკითხვაზე.

7. 2016 წლის 7 აპრილს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ღია სასამართლო პროცესზე, რომელსაც მომჩივანი ესწრებოდა, გაამართლა სამი პირი დანაშაულის შუტყობინებლობის ბრალდებით.
8. 2017 წლის 31 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას. საქმის მასალებიდან და მხარეთა არგუმენტებიდან ჩანს, რომ უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ქვედა ინსტანციების სასამართლოების დასკვნებს.
9. 2017 წლის 2 ივნისს გენერალურმა პროკურატურამ გაუგზავნა სამართლებრივი დახმარების მოთხოვნა რუსეთის შესაბამის ორგანოებს. მან აღნიშნა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია იმის დასამტკიცებლად, რომ ვ.ჰ. რომელმაც საქართველო რუსეთის საზღვარი გადაკვეთა, ს.ჰ-ს მკვლელობის უკან იდგა. შესაბამისად, გენერალურმა პროკურატურამ მიმართა რუს კოლეგებს, ეპოვნათ ვ.ჰ. და დაეკითხათ იგი მოწმის სახით. მსგავსი მოთხოვნა გაეგზავნა სომხეთის ხელისუფლებას კიდევ ერთ მოწმესთან დაკავშირებით.
10. 2017 წლის 17 აგვისტოს გამომძიებელმა სამი გამართლებული პირი დამატებით დაკითხვაზე დაიბარა. ისინი არ გამოცხადებულან.
11. 2017 წელს რამდენჯერმე გამომძიებელმა სცადა დაკავშირებოდა ტაქსის მძღოლს, რომელიც დაეხმარა ორ სომეხ მამაკაცს რომლებიც სავარაუდოდ გარეულნი იყვნენ ს.ჰ-ს მკვლელობის დროს გამოყენებული მანქანის ყიდვის დროს, იმისათვის რომ იგი დაეკითხათ და დამნაშავის ამოცნობაში მიეღო მონაწილეობა, თუმცა მისი ტელეფონი გამორთული იყო.
12. 2018 წლის 25 იანვარს, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ უპასუხა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და აღნიშნა, რომ მან ვერ დაადგინა ვ.ჰ-ს ადგილმდებარეობა. თუმცა, მან დაკითხა ვინმე ს.გ., რომელმაც განარტა, რომ ვ.ჰ. მოსკოვში ცხოვრობდა 2017 წლის აპრილიდან, მაგრამ არ ჰქონდა მისი მისამართი ან საკონტაქტო ინფორმაცია.
13. მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2018 წლის თებერვლიდან 2022 წლის ივლისამდე განხორციელდა სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიება. სხვა საკითხებთან ერთად, 2022 წლის იანვარში ხელისუფლებამ გაუგზავნა იურიდიული დახმარების მოთხოვნა მათ სომეხ, რუს და ბერძენ კოლეგებს გარკვეული მოწმეების და პოტენციური ეჭვმიტანილების იდენტიფიცირების მიზნით. გენეტიკური მასალა ასევე გადაიგზავნა იდენტიფიკაციისა და დნმ-ის საერთაშორისო მონაცემთა ბაზასთან დასადარებლად. შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს დაინტერესებული პირების პოვნა და ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი გენეტიკური მასალის

იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. 2022 წლის 14 აპრილს ჩატარდა ორი ფოტოგრაფიული იდენტიფიკაციის პროცედურა ტაქსის მძღოლის მონაწილეობით (რომელიც დაკითხული იყო 2015 წლის 29 ივლისს და განაცხადა, რომ მან გადაიყვანა მკვლელობასთან პოტენციურად დაკავშირებული ორი პირი). ტაქსის მძღოლმა ვერ შეძლო მისთვის წარდგენილი პირების იდენტიფიცირება.

14. სისხლის სამართლის გამოძიება მიმდინარეა.
15. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლების საფუძველზე, რომ მისი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტური იყო.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდი დარღვევა

16. კონვენციის მე-2 და მე მე-13 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდა ხელისუფლების მიერ მისთვის დაზარალებულის პროცედურული სტატუსის მინიჭების შეუსრულებლობასთან; რუსეთის ხელისუფლებისათვის დაგვიანებით გაგზავნილი იურიდიული დახმარების მოთხოვნასთან; რომ არ დაწყებულა ოფიციალური ძებნა ვ.ჰ-ს მიმართ და ხელისუფლების მარცხთან დაკავშირებით, რომ ჩაეტარებინათ გამოძიება სამი გამართლებული პირის მიმართ. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრები მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში უნდა განიხილოს.

17. მთავრობა არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულება იყო ერთ-ერთი საშუალება და არა შედეგი. შესაბამისად, როდესაც ხელისუფლებამ მიიღო ყველა გონივრული ზომა ინციდენტთან დაკავშირებით მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად, კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც მომჩივნის უფლება, მოითხოვოს და მიიღოს სისხლის სამართლის დევნის დაწყება მესამე პირებთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით, დაიკითხა მრავალი მოწმე და ჩატარდა სხვადასხვა სასამართლო ექსპერტიზა, პროკურორებმა ბრალი წაუყენეს სამ პირს, მაგრამ ისინი გამართლდნენ ეროვნული სასამართლოების მიერ, ხოლო მომჩივანი და მსხვერპლის ცოლი არ გამოცხადდნენ ხელისულფების წინაშე დამატებით დაკითხვაზე დაბარებისას.

18. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით ან დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. ამიტომ ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

19. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტურობის შესახებ ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეებში *Mustafa Tunç and*

Fecire Tunç v. Turkey ([GC], no. 24014/05, §§ 172-81, 14 April 2015), და *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* ([GC], no. 41720/13, §§ 165-68, 25 June 2019).

20. სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება მომჩივნის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და რომ ჩატარდა მრავალი საგამოძიებო ღონისძიება მოწმეების დაკითხვისა და სასამართლო და სხვა ექსპერტიზის ჩათვლით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის პროცედურული სტატუსი სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით და შეეძლო საქმის მასალებში წვდომა და შესაბამისი წარდგინების წარდგენა.

21. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ითვალისწინებს სირთულეებს, რომლებსაც წააწყდნენ საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები, რადგან მკვლელობის შესაძლო მთავარი დამნაშავე და ზოგიერთი მოწმე საქართველოში არ ცხოვრობდა, მას არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის 30 ივლისს ჰქონდა საკმარისი მითითებები, რომ ვ.ჰ. იდგა მომჩივნის შვილის მკვლელობის უკან, თუმცა მათ რუს კოლეგებს იურიდიული დახმარების მოთხოვნა არ გაუგზავნეს 2017 წლის 2 ივნისამდე, ინციდენტიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ და 6 თვის შემდეგ რაც მთავრობას ეცნობა წინამდებარე საჩივრის შესახებ. იმ დროისთვის რუსეთის ხელისუფლებამ ვერ იპოვა ვ.ჰ., რომელიც 2017 წლის აპრილში მოსკოვში უცნობ მისამართზე გადავიდა საცხოვრებლად. გარდა ამისა, ხელისუფლებამ არ გასცა ჩხრეკის ორდერი ვ.ჰ.-სთან დაკავშირებით, და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებები განხორციელდა 2018-დან 2022 წლამდე, მთავრობას არ მიუწოდებია დამაჯერებელი განმარტება ამ დაგვიანებისთვის. მაგალითად, გაურკვეველი რჩება, რატომ ჩატარდა დამნაშავეთა ამოცნობა 2022 წლის აპრილში მოწმის მონაწილეობით, რომლის ვინაობა და პოტენციური აქტუალობა ცნობილი იყო ხელისუფლებისთვის 2015 წლის 29 ივლისიდან (იხ. პარაგრაფი 13 ზემოთ). სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული შეფერხებები დაუსაბუთებელია, იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში მოწმეების მოგონებები ქრებოდა ან მოწმეები შეიძლება გახდნენ მიუწვდომელნი და ეფექტური გამოძიების ჩატარების შანსი სულ უფრო და უფრო მცირდება (იხ. *Asllani v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 24058/13, § 66, 10 December 2015).

22. რაც შეეხება მსხვერპლის მეუღლისა და მომჩივნის საქართველოს პროკურატურაში შემდგომი დაკითხვისთვის გამოუცხადებლობას, არ ჩანს, რომ ხელისუფლებამ განიხილა, იმის გათვალისწინებით რომ ეს პირები სომხეთში ცხოვრობდნენ, შეიძლებოდა თუ არა გატარებული ყოფილიყო სხვა ზომები, გარდა მათი საქართველოში დაკითხვისას.

23. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს, რომ მომჩივნის შვილის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება არ იყო ეფექტური, რაც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ასპექტს.

კონვენციის 41 მუხლი

24. მომჩივანმა მოითხოვა 40,000 ევრო (ევრო) მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. რაც შეეხება მორალურ ზიანს, მომჩივანმა განაცხადა, რომ მან „განიცადა დიდი ფსიქიკური აშლილობა“ მისი შვილის გარდაცვალების არაეფექტური გამოძიების შედეგად, რაც სათანადოდ არ ანაზღაურდება დარღვევის დადგენით და მოითხოვა მორალური ანაზღაურება თანხის მითითების გარეშე.

25. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 4 000 აშშ დოლარი (აშშ) ეროვნული სასამართლოების წინაშე გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის და თანხა სტრასბურგის სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია დასაბუთებულად მატერიალური ზიანის მოთხოვნა. ხოლო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მას მიანიჭა 3 000 ევრო. ხოლო სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ხარჯების ასანაზღაურებლად 1 500 ევრო.